კიევი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

1 ივლისს კიევში, ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ კიევისა და თბილისის "დინამოს" გუნდები.

მატჩი მეტად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. კიეველი კორშუნოვის მიერ გატანილ ორ ბურთს ღოღობერიძემ მხოლოდ ერთი გოლით უპასუხა. თბილისელთა მრავალ ცდას გაეუმჯობესებინათ ანგარიში, შედეგი არ მოუცია. ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვეს კიეველებმა. მათვე მოიგეს დუბლიორთა შეხვედრაც – 2:0.

"ლელო", 8 ივლისი, 1956 წ.